პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 66 (14062) | ოთხშაბათი, 20 მარტი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი ნოგათი

ადიგენის რაიონის მშრომელებმა, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მძძეაბიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ძასრაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ძაძამიამ, — სახელმწიფოსათვის მიცემოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე — 10 მარტისათვის გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 1.290 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 870 ცენტნერისა, 3.810 ცენტნერი რძე ნაცვლად 3.740 ცენტნერისა, 64.500 ცალი კვერცხი ნაცვლად 60 ათასი ცალისა.

გაზაფხული და მექანიზაცია

თესავენ ლენინგორელები

ლენინგორი. (საკ. კორ.). გაზაფხულის დღეებია. ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად შეუდგნენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს.

რაიონში ადრე მოიმარაგეს, გაწმინდეს და კონდიციამდე აიყვანეს ყველა სახის თესლი. ამ დღეებში უკვე დაიწყო თესვა.

თესვა ტირიფონის ველზე სოფელ ორეხოსნის კოლმეურნეებმა დაიწყეს. აქ გამოცდილმა მექანიზატორებმა ს. ელოევმა და ა. დრიაევმა პირველ დღეს 15 ჰექტარი გაზაფხულის ქერი დათესეს. თესვა დაიწყეს სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე.

თესვას შეუდგნენ აგრეთვე სოფელ აბრევის კოლმეურნეობა და ლენინგორის საბჭოთა მეურნეობა.

ლენინგორელები წელს საგაზაფხულო კულტურებს დათესავენ 2.100 ჰექტარზე. ნიადაგში შეტანილია ორგანული და მინერალური სასუქი. საგაზაფხულო თესვას აგროვადებში დაამთავრებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულდა, და სოფლად მუშაობა უფრო გაცხოველდა. მექანიზატორები, მემინდვრეები, მეცხოველეები ახალი ენერგიით შრომობენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა განაღდებისათვის. მოწინავეთა შორის არიან სოხუმის რაიონის გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ხ. მირაბიანი, ქობულეთის რაიონის ციხისძირის კოლმეურნეობის მეცხოველე ნ. გორგილაძე და სხვები.

წარმატებებს აღწევენ მრეწველობის მუშაკები: თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხნის № 8 ამწყობი მექანიკური საამქრო მოწინავეთა რიგებშია.

ხუთათვეზზე: ზევიდან — გუმისთელი ტრაქტორისტი ხ. მირაბიანი, შუაში — ციხისძირელი მეცხოველე ნ. გორგილაძე; ქვემოთ — საექსპორტო ჩარხის ამწყობთა ჯგუფი (მარცხნიდან): საამქროს უფროსის მოადგილე ინჟინერი თ. ქათამაძე, უფროსი ოსტატი ვ. ლაზარევი, ამწყობი ზეინკლები ვ. ხუბულური, გ. ივანელაშვილი და ელექტრიკოსი ლ. რამიშვილი.

ფოტო ი. ჭოხონელიძის, ი. ნანიკაშვილისა და ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სოფლის მშრომელთა საბრძოლო განაწესი

საქართველოს სოფლის მშრომელთა დიდი წვლილი, შეუნელებელი ზრაბა და ენერგიაც არის ჩაქსოვილი იმაში, რომ ჩვენი რესპუბლიკის დროშაზე ორი ლენინის ორდენი კიაფობს. უკანასკნელ წლებში მათ არაერთხელ დამსახურეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომები.

...და აი სულ ახლახან, საქართველოს სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე მიიღეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაკთა 1968 წლის სოციალისტური ვალდებულებები. ამ ვალდებულებებში დიდი და საპატიო ამოცანებია დასახული, რომლებიც ხუთწლედის მესამე წელს უნდა შეასრულონ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა.

ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ტემპი და შრომის ფრონტი გაზაფხულის დადგომასთან ერთად თანდათან ფართოვდება. ჩაის პლანტაციებში, ბაღ-ვენახებში, მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში სოფლის ყველა მშრომელი ენერგიის დაუზოგავად მუშაობს ვალდებულებათა შესრულებისათვის, იმისათვის, რომ კვლავაც ასახელონ მშობლიური სოფელი, რაიონი, რესპუბლიკა, საყვარელი სამშობლო!

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის ვალდებულებანი, რომელთა შესრულებისათვისაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშამ ენერგიულად უნდა იშრომოს და იბრძოლოს.

88.000 ტონა მარცვალი უნდა მიიღოს სახელმწიფომ მიმდინარე წელს, გეგმა კი 70 ათას ტონას ითვალისწინებს. პურეულის ნათესებს კარგი პირი უჩანს. ახლა მთავარია საგაზაფხულო თესვა წესების დაცვით აგროვადებში დამთავრდეს. მექანიზატორთა და მემინდვრეთა ღირსების საქმეა ვალდებულება უთუოდ შეასრულონ.

215.000 ტონა ჩაის ფოთოლი — სამშობლოს! — აი მეჩაიეთა საბრძოლო ამოცანა. ეს იმას ნიშნავს, რომ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 5.000 ტონა „მწვანე ოქრო“ მიეყიდება. საქართველოს მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო. ეჭვი არ არის, რომ ასე იქნება „მჭეარადაც. ამის თავდებია ის დაუცხრომელი შრომა, რომელიც ახლა პლანტაციებშია გაჩაღებული. მეჩაიეთა სახელისა და პატივის საქმეა, რომ რაოდენობასთან ერთად დიდი ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ხარისხს. მოკრეფილი ნედლეულის ელ ცოტა 70 პროცენტი პირველი ხარისხისა უნდა იყოს! მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ყველა მეჩაიემ ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

250.000 ტონა ყურძენი — სამშობლოს! (გეგმით კი გათვალისწინებულია 240.000 ტონა). მევენახეები, ამ პატრიოტული ვალდებულების შესასრულებლად დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით შრომობენ ზვრებში. ეს. კი იმას ნიშნავს, რომ ისინი კვლავაც ასახელებენ ქართულ ზვარსა და ბარაბს. ქართული ღვინო კვლავაც საუკეთესო უნდა იყოს.

125.000 ტონა ხილი უნდა მიიღოს წელს დედა-სამშობლომ. ასე ჩაიწერა რესპუბლიკის სოციალისტურ ვალდებულებებში. რესპუბლიკის მეხილეობის რაიონებში ბაღების მოვლა-პატრონობის საქმე უკანასკნელ წლებში მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვით აღმავლობის გზით მიდის. ახლა მთავარია კვლავაც ენერგია და გამოცდილება არ დაეზოგოთ ვალდებულებათა შესასრულებლად.

35.000 ტონა ციტრუსი — მშრომელთა სუფრას! — ასე გადაწყდა მოწინავეთა რესპუბლიკურ შეკრებაზე.

130.000 ტონა შაქრის ჭარხალი უნდა დამზადდეს მიმდინარე წელს. წინა წლების გამოცდილების მიხედვით შეგვიძლია ეჭვიც არ შევიტანოთ, რომ ეს ვალდებულებაც შესრულდება.

58.000 ტონა კარტოფილს მიიღებს სახელმწიფო მიმდინარე წელს. წალენჯიხა და ახალციხის რაიონების მოწინავე მეკარტოფილეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით ამ ვალდებულებათა შესრულებას ამთავითვე ეყრება მტკიცე საფუძველი.

120.000 ტონა ბოსტნეულის დამზადებისათვის ბრძოლა კარგახანია დაიწყო. მებოსტნეობის რაიონების, განსაკუთრებით კი გარდაბნის რაიონის მოწინავე მებოსტნეთა შრომითი მეთოდების დანერგვა ყველა შრომელს დაეხმარება უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

4.500 ტონა დაფნის ფოთოლი;
25.000 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული;
54.000 ტონა ხორცი;
152.000 ტონა რძე;
5.400 ტონა მატყლი — სახელმწიფოს!

აი ის საბრძოლო ციფრები, რომელთა რეალიზაციისათვის შრომის ფერხულში არიან ჩაბმული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სახელოვანი მშრომელები.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა რესპუბლიკის ყველა მშრომელს მოუწოდეს ფართოდ გაანალიზონ სოციშეჯიბრება. 1968 წლის გეგმისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელებო! ამოელი ძალით გავუალოთ შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გამოვავლინოთ შემოქმედებითი ინიციატივა, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა და ორგანიზებულობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები, ენერგიის დაუზოგავად ვიზრუნოთ ჩვენი რესპუბლიკის, მშობლიური სოფლის ღირსებისათვის, კვლავაც გავაძლიეროთ მოძრაობა კომუნისტური შრომისა და უოფაცხოვრებისათვის!

ხუთწლედი — ვადამდე!

მანქანათმშენებელთა წარმატება

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელო ქარხანა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. აქ ძირითადად კვების მრეწველობისათვის ამზადებენ მანქანა-დანადგარებს, მათ შორის ყურძნის გადამამუშავებელ ნაკადურ ხაზებს, რომელთა წარმადობა საათში 10, 20 და 30 ტონაა, ყურძნის საჭყლეტ მანქანებს, განუწყვეტელი მოქმედების საწურ წნეხებს და სხვა სახის პროდუქციას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა კვების მრეწველობაში.

ქარხანა თავის პროდუქციას გზავნის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, სადაც კი მეღვინეობაა განვითარებული. წელს, მაგალითად, დიდი რაოდენობით გაიგზავნა აქაური პროდუქცია უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის მოძმე რესპუბლიკებში. გარდა ჩვენი ქვეყნისა, მანქანათმშენებლები პროდუქციას აწვდიან საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანას. ამჟამად მონღოლეთში გასაგზავნად ამზადებენ ყურძნის საწურ წნეხს, რომელსაც ამ დღეებში გაგზავნიან.

საწარმოს კოლექტივის შრომითს წარმატებებზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ის, რომ იგი უკვე ზედიზედ მეოთხე კვარტალია სავაჭრო გარდამავალ წითელ დროშას ფლობს. მანქანათმშენებლები თავდადებულად შრომობენ წელსაც. გადაჭარბებით შესრულეს იანვარ-თებერვლის საწარმოო გეგმა, გასწიეს 21 ათასი მანეთის ეკონომია და სახელმწიფოს დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

თ. კინწურაშვილი.

ვადამდე, გადაჭარბებით

სოხუმი. (საკ. კორ.). თევზკომბინატის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამომვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 1 მარტისათვის შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 743 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 937 ათასი მანეთის პროდუქცია (1967 წლის ფასებში), რაც გეგმის 126 პროცენტს შეადგენს, ხოლო თევზის დამზადების გეგმა შესრულებულია 187 პროცენტით.

დამზადებულია 21.262 ცენტნერით მეტი თევზის პროდუქტები, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე შებოლილი თევზის გამოშვების დავალებაც.

სოფლის პარტორგანიზაციების მდივნების სწავლება

19 მარტს თბილისში დამთავრდა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადამზადების მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მეცადინეობა.

ერთი თვის განმავლობაში აქ მეცადინეობდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციების ასი განთავისუფლებული მდივანი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ისმენდნენ ლექციებს, მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის ძირითადი პრობლემებისადმი მიძღვნილ სემინარებში, სწავლობდნენ მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს, ეკონომიკასა და წარმოების ორგანიზაციას. სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო პარტიული მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხთა შესწავლას.

კურსების მსმენელთა გამოშვებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ი. ჭანჭუმაძემ. (საქდესი).

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა სემინარი

ბაკურიანი, 19 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). ამ დღეებში კურორტი ბაკურიანი — მზისა და თოვლის მხარე — საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეთა შემოქმედებითი დისკუსიის თაოსებურ ცენტრად გადაიქცა. ეს-ეს არის დამთავრდა ახალგაზრდა ლიტერატორთა, მხატვართა, მუსიკოსთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა შეკრება, დღეს კი ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკმა „მზიურმა ველმა“ ახალი სტუმრები — რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერები მიიღო.

თავიანთი ფიქრებისა და მისწრაფებების, თავიანთი ოცნებებისა და გეგმების გასაზიარებლად ბაკურიანში პირველ რესპუბლიკურ სემინარზე ჩამოვიდნენ ახალგაზრდა მეცნიერთა წარმომადგენლები, ისინი, ვისაც ამბარია მეცნიერების მომავლის ბედი, ვინც უნდა „გადაკრას რთული პრობლემები, მოაგდინოს აღმოჩენები, ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეს.

წელს ლენინურ კომკავშირს 50 წელი უსრულდება. ამ სახელოვან იუბილეს ეძღვნება სწორედ საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი რესპუბლიკური სემინარი, რომელიც რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო.

სემინარის მონაწილეებმა, რომლებსაც სტუმრად ეწვივნენ რესპუბლიკის მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწენი, მოსკოვის ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ილაპარაკეს იმაზე, თუ რა როლი და ადგილი მიეკუთვნება ახალგაზრდა მეცნიერს საზოგადოებასა და მეცნიერებაში, ილაპარაკეს ქართული მეცნიერების მიღწევებზე, განიხილეს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებათ შეიარაღებული ახალგაზრდობის გადადებული ამოცანები.

სემინარი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **რ. კონცელიძემ**. მან თქვა, რომ გადაწყვეტილია ტრადიციად გადაკეთოთ აღნი სემინარები. ისინი დიდად სასარგებლოა, ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციას აახლოებენ კომკავშირთან.

სემინარის მონაწილეთათვის მოხსენება „მეცნიერი ახალგაზრდობა და თანამედროვე ფიზიკის მიღწევები“ წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **მ. მირიანაშვილმა**.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა **გ. ლეონავამ**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა **გ. თოფურიამ** და **გ. კვარაცხელიამ**, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. გაბიანმა**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა **თ. ნათიშვილმა**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მ. აბდუშელიშვილმა**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ლ. ჯანაშიამ**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა **ა. გერასიმოვმა**, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა **მ. ზაალიშვილმა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა **რ. მიშველაძემ**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ვ. ქვაჩახიამ**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **თ. კაკაკაშვილმა** და სხვებმა.

დღეს სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ მეცნიერ ახალგაზრდობასთან მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელის **ბ. ვლადიმიროვის** მოხსენება „ახალგაზრდა მეცნიერებთან კომკავშირის კომიტეტების მუშაობის შესახებ.

სემინარი ერთ კვირას გასტანს.

მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსი—15-ის“ ევაკუაცია

ლენინგრადი, 19 მარტი. (საქდესის კორ.). დაიწყო მოდრეიფე სამეცნიერო სადგურის „ჩრდილოეთ პოლუსი-15“-ის ევაკუაცია. მალე „განდიის ექსპედიციის „ჩრდილოეთ-20“-ის თვითმფრინავები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ეს ოპერაცია, შეუდგენენ ხალხის გადაყვანას ყინულოვანი ბანაკიდან, აგრეთვე ძვირფასი მოწყობილობისა და მასალების გადაზიდვას.

როგორც საქდესის კორესპონდენტს არქტიკისა და ანტარქტიკის ინსტიტუტში აცნობეს, მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთ პოლუსი-15“-ის (მისი კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 86 გრადუსი და დასავლეთის გრძედის 10 გრადუსი) ევაკუაცია მოახდინეს იმ კვლევის ორი წლის ციკლის დამთავრების გამო, რომლებიც განახორციელა მოზამთრეთა ორმა ცვლამ.

მუშაობის მეცნიერული ორგანიზაცია უმაღლეს სკოლაში

ტალინი, 19 მარტი. (საკდესის კორ.). კონფერენციაში, რომელიც დღეს დილით გაიხსნა ტალინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ესტონელ კოლეგებთან ერთად მონაწილეობენ მოსკოვის, კიევის, მინსკის, ნოვოსიბირსკის, რიგის, თბილისისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები.

ჩვენ დროს, როცა სულ უფრო სწრაფად იზრდება მეცნიერული ინფორმაციის ნაკადი, სწავლებისა და ათვისების მეთოდების სრულყოფა უმაღლეს სასწავლებელთა გადაუდებელი ამოცანა გახდა. ესტონეთში უკვე პრაქტიკულად შემოიღეს სტუდენტთა პროგრამირებული სწავლება, მათი ცოდნის შემოწმება ტექსტებისა და სპეციალური ელექტრონული მანქანების საშუალებით. ნოვოსიბირსკის ელექტროტექნიკურმა ინსტიტუტმა გამოსცა და შეამოწმა ათი პროგრამირებული სახელმძღვანელო. ღილაკები „ჰო“ და „არა“ ყოველი სტუდენტისათვის, რომლებიც ზოგიერთ აუდიტორიაშია, საშუალებას აძლევენ მასწავლებელს ლექციის დროს თვალყური ადევნოს, თუ როგორ ითვისებენ მსმენელები მასალას. თბილისში მეცადინეობის ცხრილის შედგენისას წარმატებით გამოიყენეს ავტომატიზაცია. უახლეს ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ ბელორუსიის პოლიტექნიკურ და სხვა ინსტიტუტებში.

ახლა ამ დიდნიშვნელოვან მუშაობას უმაღლესი სასწავლებლები თავს ვერ გაარმეევენ, თუ არ დაეხმართა სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანია განსაზღვროს კრიტერიუმები სწავლებისა და აღზრდის მეცნიერული სისტემის შექმნისათვის.

• ბრძოლები როდეზიაში

დარ-ეს-სალამი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც როდეზიიდან იუწყებიან, მდინარე ზამბეზის ხეობაში ბრძოლდება ბრძოლები აფრიკელ პატრიოტებსა და სმიტის რეჟიმის შეიარაღებულ ძალებს შორის. რასისტებმა ავიაცია გამოიყენეს პატრიოტების წინააღმდეგ.

• მავრიკიის მდგომარეობა

დარ-ეს-სალამი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც პორტ-ლუიდან (მავრიკიის კუნძული) იუწყებიან, პოლიციამ დაიპატიმრა 130 კაცი კომენდანტის საათის დარღვევისათვის, რომელიც კუნძულზე დაწესებულია იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგიურ ნიადაგზე ურთიერთობა კვლავ გამწვავდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის.

• 139 კონგრესმენის მოწოდება

ვაშინგტონი, 19 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 139 წევრმა მოითხოვა, რომ კონგრესში დეტალურად გააანალიზონ ამერიკის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

98 რესპუბლიკელმა კონგრესმენმა და წარმომადგენელთა პალატის 41 წევრმა დემოკრატიული პარტიისაგან, რომლებიც წარმოადგენენ 60 მილიონზე მეტ ამერიკელ ამომრჩეველს, წამოაყენეს ოთხი რეზოლუცია, რომლებშიც მოითხოვენ რაც შეიძლება აქტიურად განიხილონ კონგრესში მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და, კერძოდ, ვიეტნამში.

• აუტანელი პოლიტიკური ვითარება

ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). დასავლეთბერლინელმა მსახიობმა ვოლფგანგ კილინგმა თავის ქალიშვილთან ერთად დატოვა დასავლეთ ბერლინი და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადასახლდა. ამის მიზეზი, როგორც მან განაცხადა, დასავლეთ ბერლინში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაა, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული ომის ყველა მოწინააღმდეგის დევნა. ამ ატმოსფეროში, აღნიშნა კილინგმა, ვეღარ განვაგრძობ სამსახიობო საქმიანობასო.

• გაამართლეს სს-ელი მკვლელი

დასავლეთი ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის სასამართლომ „მტკიცებულებათა უკმარობის“ გამო გაამართლა სს-ის ჯარების ყოფილი შტურმბანფიურერი ოსვალდ შეფერი. ამ დანაშაულის ბრძანებით 1941 წლის შემოდგომიდან 1942 წლის ოქტომბრამდე მასობრივად ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას საბჭოთა ტერიტორიაზე, რომელიც დროებით ჰქონდათ მიტაცებული ჰიტლერელებს. შეფერს პირადად დაუხვრეტია საბჭოთა მოქალაქენი.

უნდა ითქვას, რომ „გამამართლებელი განაჩენი“ შეფერს უკვე მეორედ გამოუტანეს.





გამოჩენილი ბოლშევიკი-ლენინელი

ფ. ი. მახარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

ფილიპე ილიას-ძე მახარაძე ეკუთვნის ბრძოლებში ნაწრთობ რევოლუციონერთა იმ თაობას, რომელიც სათავეში ედგა მარქსისტულ მოძრაობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, პირველმა აღმართა აქ დიდი ლენინის დროშა და მთელი ძალღონე მოახმარა კომუნიზმისათვის ბრძოლას. ფ. მახარაძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია რევოლუციური მოძრაობისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიასთან საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამ მეზობელი ბოლშევიკი-ლენინელის ბიოგრაფია საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის გმირული ისტორიის ნათელი და საინტერესო ფურცელია.

შესანიშნავი პროფესიონალი რევოლუციონერის ფილიპე მახარაძის, დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც 19 მარტს გაიმართა თბილისში პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. მერკვილაძემ.

მოხსენება ფ. მახარაძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ცერცვაძემ.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ფ. მახარაძის მთელი ცხოვრება კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისადმი, ხალხის ინტერესებისადმი თავდადებული ერთგულების მკაფიო მაგალითია. დიდად განათლებული და მარქსიზმის ნიჭიერი პროპაგანდისტი, თვალსაჩინო პუბლიცისტი და მშრომელთა ორგანიზატორი ფ. მახარაძე რევოლუციურ მოძრაობაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ჩაება და მას შემდეგ თავდადებით იბრძოდა ცარიზმის დამხობისა და კაპიტალისტური ჩაგვრის მოსპობისათვის, სიცოცხლის უკანასკნელი 20 წლის მანძილზე კი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის. ფილიპე მახარაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რევიზიონისტებისა და შუშანა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ ერთ-ერთი მგზნებარე მებრძოლია. იგი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მშენებელი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის აქტიური მებრძოლი იყო.

ფ. მახარაძემ დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა და მთელი ქართველი ხალხის დიდი სიყვარული და ნდობა. ქართველი ხალხი, რომელიც კომუნიზმის გზას ადგას და რომლის წიაღიდან გამოვიდა ლენინური სკოლის რევოლუციონერთა სახელოვანი პლეადა, სათუთად ინახავს კომუნისტური პარტიის უხუცესი მოღვაწის ფილიპე მახარაძის ხსოვნას.

„ფ. მახარაძე — ისტორიკოსი“ — ასეთი მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ბაბალასამ. ფ. მახარაძე ცნობილია არა მარტო როგორც გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, არამედ აგრეთვე როგორც ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ლიტერატურისმცოდნე. მან დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვტოვა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულშივე გამოიცა მისი შრომების რვა ტომი.

ვ. ი. ლენინი და მისი თანამებრძოლნი კარგად იცნობდნენ ფ. მახარაძეს როგორც კავკასიის ისტორიის ბევრი საკითხის სპეციალისტს. მისი სტატიები, წერილები, გამოკვლევები რევოლუციური მოძრაობისა და სოციალისტური მშენებლობის, აგრეთვე ფილოსოფიის, ისტორიის, ლიტერატურის საკითხებზე აშუქებენ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ისინი მოგვაგონებენ ბევრ მომენტს, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლას ხალხის მასების შეაიარაღებლად რევოლუციური თეორიით და მათს შესაკავშირებლად მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით.

როცა თვალს ვავლებთ ფილიპე მახარაძის ნათელ, მდიდარ, რევოლუციური რომანტიკით აღსავსე ცხოვრებას, ვიგონებთ მის შეხვედრებს ვ. ი. ლენინთან, მის მრავალგზის დატამრებასა და გადასახლებას, დევნას რევოლუციური მოღვაწეობისათვის, მის მგზნებარე ბრძოლას მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ, უდიდეს როლს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და ქართული ხალხის სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში, ყოველივე ამით წარმოგვიდგება ერთიანი ლენინელის, უდრეკი მებრძოლის, სულიერად მდიდარი და თავმდაბალი ადამიანის მოსახიბლავი სახე, რომლისთვისაც ყველაფერზე მაღლა იდგა ხალხის ინტერესების სამსახური.

სესიაზე მოისმინეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ჯანგვეშელაძის მოხსენება „ფ. მახარაძე — პუბლიცისტი“. მომხსენებელმა დაწერილებით გააშუქა და გააანალიზა გამოჩენილი თეორეტიკოსის, ისტორიკოსის, ლიტერატურის მეცოდნის, კრიტიკოსის, ლენინური იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტისა და კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლის მკაფიო მრავალმხრივი პუბლიცისტური მოღვაწეობა.

ფ. მახარაძესთან ერთად მუშაობისა და მასთან შეხვედრების შესახებ მოგონებანი გაუზიარეს სესიის დამსწრეთ ძველმა კოუნისტებმა — პერსონალურმა პენსიონერმა დ. ლომაძემ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ა. ბალმანხარიძემ, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სკკკ ისტორიის კათედრის გამგემ დოცენტმა ვ. მაჭავარიანმა და მწერალმა სიმონ ფაფავამ.

სესიაზე მოგიდნენ ფ. მახარაძის თანამებრძოლნი, ძველი კომუნისტები, მეცნიერები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები. სესიის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ფილიპე მახარაძის შვილებს — თამარს, ეკატერინესა და არჩილს, რომელიც ლენინგრადიდან ჩამოვიდა. იგი ინჟინერია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. სტუშუა და საქ

მსოფლიო თქვენს მხარეზეა, გმირო ვიეტნამელო ხალხო!

ქვეყრის სოლიდარობა

გუშინ მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძლავრი საპროტესტო გამოსვლებითა და დემონსტრაციებით აღნიშნა ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ვიეტნამის საყოველთაო ბრძოლის დღე.

უველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად ვიეტნამის დასაცავად ხმას იმაღლებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც.

ამის ნათელი დადასტურება იყო გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებში გამართული მშრომელთა ხალხმრავალი სოლიდარობის მიტინგები.

●

მებრძოლ ვიეტნამთან სოლიდარობის ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში. სხვადასხვა პროფესიის და ასაკის ადამიანებმა გულისწყრომით დაგმეს ამერიკელი იმპერიალისტები.

მიტინგზე გამოვიდა ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი დ. რაზმაძე, რომელმაც თქვა:

— მთელი პროგრესული კაცობრიობის შეშფოთებას იწვევს ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობა. სოფიაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა მიიღო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ მეჩიდრად დასახლებული ცენტრების დაბომბვის გაძლიერება, ამერიკის ჯარების ახალი რიცხობრივი ზრდა სამხრეთ ვიეტნამში, ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომის გაფართოების ამერიკული პოლიტიკის ახალი, კიდევ უფრო საშიში საფეხურია. როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, ჩვენც ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს და ძმურ სოლიდარობას ვუცხადებთ გმირ ვიეტნამელ ხალხს.

გმირ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი თბილისის საკონდიტრო კომბინატში გახსნა პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ნაცვალაძემ.

— ამერიკელი აგრესორები ვიეტნამის მიწა-წყალზე შეიჭრნენ როგორც დამპყრობნი და თავისუფლების ჩამშლელნი, — თქვა კომბინატის პარტბიუროს მდივანმა შ. უთმელაშვილმა. ისინი იქ სულ უფრო მეტ ჯარისკაცებს გზავნიან.

— საბჭოთა ხალხის სოლიდარობა მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან, — განაცხადა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. კუნჭულიამ, — ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ზრუნვის განუყოფელი ნაწილი გახდა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კოლოფონების საამქროს მოწინავე მუშამ მ. მირცხულავამ, რომელმაც საწარმოს მთელი კოლექტივის სახელით მტკიცედ მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, შეწყვიტონ დაბომბვა. (საქდესი).

ჩილეში გრძელდება დემონსტრაციები და საპროტესტო მარშები ვიეტნამში ამერიკელთა ბინძური ომის წინააღმდეგ. ამ დღეებში ჩილელმა ახალგაზრდებმა მოაწყეს საპროტესტო მარში ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, რათა გამოეხატათ თავიანთი სოლიდარობა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი. მათ მოჰქონდათ ლოზუნგები: „იანკეებო, წადითრიეთ!", „ვიეტნამი გაიმარჯვებს".

სურათზე: მარშის მონაწილენი.

ფოტოგაზეთ „სიგლოდან".

მთელი პროგრესული კაცობრიობა სამეარცხვინო ბოძზე აკრავს აგრესორებს!

ყველაზე დიდი დანაშაული

ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის ერთობლივი განცხადება

ჰანოი, 19 მარტი. (საქდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ერთობლივი განცხადება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის ვიზიტის შესახებ.

ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გამოხატავს თავის უდიდეს აღტაცებას ამერიკის იმპერიალისტების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის გამო და მხურვალედ მიესალმება მათს დიდ გამარჯვებებს, კერძოდ სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის შესანიშნავ მიღწევებს 1968 წლის 30 იანვრის შემდეგ. საფრანგეთის კომპარტიის დელეგაცია გადაჭრით ამხელს და სასტიკად გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ხაზგასმულია განცხადებაში. ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ნათქვამია განცხადებაში, ახლა უველაზე დიდი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.

დევნა — ერთადერთი გამოსავალი

ვაშინგტონი, 19 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ა. მელქიანი იუწყება:

ამერიკის შეერთებულ შტატებში დევნიან ომის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თეთრი სახლის სავიეტნამო პოლიტიკის **კრიტიკის გამო.** ანგარიშის გასწორება დაუპირეს ორგანიზაციას „ფედერალური მოსამსახურენი ვიეტნამის ომის წინააღმდეგ", რომელიც ამას წინათ შეიქმნა. მისი საქმიანობა უნდა „განიხილოს" კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამოძიების უბადოებულმა კომისიამ. ეს გამოაცხადა დღეს კომისიის თავმჯდომარემ დედინ უილისმა.

უილისმა. შეიტანა აგრეთვე კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტს უფლებას აძლევს დაუყოვნებლივ დაითხოვოს ნებისმიერი სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც შეემხრობა საპროტესტო მოძრაობას და ამით ზეგავლენა „დაეხმაროს მტერს".

აქამდე ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგე ფედერალურ მოსამსახურეთა ორგანიზაციის ინიციატივით მთავრობის დაწესებულებათა 1000-ზე მეტმა მოსამსახურემ მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც პრეზიდენტს მოუწოდებს შეწყვიტოს ვიეტნამის ომი.

უტევენ ინტერვენტებს

ჰანოი, 19 მარტი. (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა კუანგჩის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მარტის პირველ ათ დღეში გააფთრებული ბრძოლების დროს დაამუსრეს და მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 1.465 ამერიკელი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც სააგენტო „განთავისუფლებას" იმოწმებს.

სავსებით დაარღვიეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციები სამხრეთ ვიეტნამის წყლის არტერიებზე კუანგვიეტისა და დონგჰის რაიონებში. პატრიოტებმა კონტროლი დაიწესეს რამდენიმე ადგილას № 9 სტრატეგიულ ბაზაზე. ბრძოლების შედეგად სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა ჩაძირეს მტრის 7 სამხედრო გემი, ჩამოაგდეს 11 თვითმფრინავი და გაანადგურეს 20 ტანკი და ჯავშანავტომობილი.

სურათებზე: (ზემოთ) — ვიეტნამელი პატრიოტი საბრძოლო ოპერაციაზე; ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი ეძებს თავშესაფარს პატრიოტთა ცეცხლისაგან თავდასაცავად (ქვემოთ).

ფოტო ჟურნალ „შტერნიდან".

ქალაქების წარსული და მომავალი

როგორი იქნება პარიზი 2000 წელს?

რაგორი იქნება პარიზი 2000 წელს? რა ვუყოთ ქალაქის ცენტრის უძველეს კვარტალებს, რომლებიც საფრანგეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ამბების მოწმეა? როგორ მივაღწიოთ ძველისა და ახლის „თანაარსებობას" ამ ძალღონით სავსე, განუხრელად მზარდ ქალაქში? ამ კითხვებს და კიდევ სხვა მრავალ კითხვას, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ საფრანგეთის დედაქალაქის მომავლისათვის, პასუხი უნდა გასცენ პარიზის მუნიციპალური საბჭოს წევრებმა.

მარტის დასაწყისში პარიზის საქალაქო საბჭოს სხვისამ განხილა, როგორც პრესა წერს, ყველაზე საჭირბოროტო საკითხი ამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე — „ქალაქ-შუქურის" რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა.

პარიზი ძირითადად უნდა გაიზარდოს სენის ველის გაყოლებით, ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით. ნაგარაუდევია რამდენიმე „საქმიანი ცენტრის" შექმნა: ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში (ლიონის სადგურის მახლობლად) და ჩრდილო-დასავლეთით (სენ-ლაზარის სადგურის ირგვლივ). „საქმიანი ცენტრების" ცათამბჯენებმა და უკვე მშენებარე საქმიანი, ადმინისტრაციული კვარტალების მინა-ბეტონის მასივებმა დეფანსის მოედანსა და მონპარნასის სადგურის ტერიტორიაზე შეიძლება სრულიად შეუცვალონ პარიზს სილუეტი და გარეგნული სახე.

ქალაქის განვითარების გენერალურმა გეგმამ ბევრი პარიზელის, აგრეთვე პრესის უკმაყოფილება და წინააღმდეგობა გამოიწვია. ოპოზიციის წარმომადგენლებმა მუნიციპალურ საბჭოში აღნიშნეს, რომ წინააღმდეგი არიან „პარიზი გადაქცეიან ბიზნესის ქალაქად და იქნდან გაადევნონ მოსახლეობის ღარიბი ფენები".

პარიზის რატუშაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ეს გეგმა სერიოზულად გააკრიტიკა პარიზის მუნიციპალური საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ შავანაგმა.

„პარიზის პრეფექტურა დედაქალაქისათვის ახალ კოსტიუმს კერავს, — განაცხადა შავანაგმა. — ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში უნდა იცოდე იმის აზრი, ვინც ეს კოსტიუმი უნდა ატაროს. ღირსეულად ვაფასებთ რა მშენებელთა დიდ მონდომებას, ჩვენ ამავე დროს მოვითხოვთ ახალ მიზომებას".

●

სენსაციური აღმოჩენა ნეაპოლთან

იტალიელმა არქეოლოგებმა უნიკალური ნაპოვნი აღმოაჩინეს დაბა ბაკოლში ნეაპოლის მახლობლად. ძველი რომაული ტაძრის გათხრის დროს ისინი წააწყდნენ ორ შესანიშნავად შენახულ მარმარილოს ქანდაკებას — იმპერატორების ვესპასიანესა და ტიტესი. ორივე დაახლოებით ადამიანის სიმაღლისაა და 20 საუკუნეა დგას კვარცხლბეკზე ძველრომაელი მეომრის „გმირულ" პოზაში. ქანდაკებებს თითქმის არ შეხებია უამთა სვლა, რაც ნაპოვნს განსაკუთრებულ ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას მატებს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ ადგილებში გათხრების განგრძობამ შეიძლება ბევრ საიდუმლოებას ახადოს ფარდა. კერძოდ, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ტაძარში უნდა იყოს იმპერატორ ავგუსტის ქანდაკება.

●

ნაპოვნია რომის ლეგიონის „შტაბი"

იორკის კათედრალური ტაძრის — ინგლისის ქალაქ იორკის გოტიკური არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი — სარემონტო სამუშაოების დროს არქეოლოგებმა გათხარეს ქვის ციხე-სიმაგრე, სადაც ერთ დროს განლაგებული ყოფილა რომის მეექვსე ლეგიონის „შტაბი" (ეს ლეგიონი ერთ დროს გასაგებად მთელ ჩრდილოეთ ინგლისს).

ისტორიული ძეგლების სამეფო კომისიის წამყვანმა არქეოლოგმა გერმან რამმა განაცხადა, რომ ეს აღმოჩენა „კოლოსალურ ინტერესს იწვევს", რადგან საქმე ეხება სამხედრო დანიშნულების ერთადერთ რომაულ ნაგებობას ინგლისში, რომელიც კი „გათხრილია მეტნაკლებად საფუძვლიანად".

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔᲐ, ᲒᲛᲘᲠᲝ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲝ!

ქართველი ხალხის გულისწყრომა

თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება

მთელი პროგრესული კაცობრიობა სოლიდარობას უცხადებს სამხრეთ ვიეტნამის მამაც ხალხს. დედამიწის პატიოსანი ადამიანების ეს მტკიცენება გამოხატა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც 19 მარტს გაიმართა.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ყვანიამ.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ თბილისის მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ, რომელიც ვიეტნამში ამერიკის აგრესიის გაფართოებამ გამოიწვია. ისინი მიესალმებიან სამხრეთ ვიეტნამში ეროვნული და მშვიდობისმოყვარე ძალების კავშირის შექმნას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს პროფესორ ნ. ჯავახიშვილს.

— ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედება, — თქვა ორატორმა, — სირცხვილია ამერიკისა, რომელიც თავის თავს უწოდებს თავისუფალი სამყაროს ბურჯს. საბჭოთა ქალები, რომლებსაც მტკიცე სოლიდარობა აკავშირებთ ვიეტნამის ქალებთან, უერთდებიან მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს და მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია.

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. კურტანიძემ აღნიშნა, რომ ამერიკის აგრესია ვიეტნამში საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

რესპუბლიკის დედაქალაქის ქალაშვილებისა და ჭაბუკების სახელით უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ც. ლაბაურმა მოუწოდა ახალგაზრდობას განაცხადონ პროტესტი ამერიკელ ინტერვენტთა სისასტიკისა და თვითნებობის ახალი აქტების წინააღმდეგ.

— ჩვენ, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები თქვა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა კ. წერეთელმა. — მრისხანე პროტესტს ვაცხადებთ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

ტრიბუნაზეა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II. მან თქვა, რომ ამერიკის მხედრიონის ბარბაროსობას ვიეტნამის მიწა-წყალზე სულ უფრო მეტად გმობენ მთელ მსოფლიოში.

კრების მონაწილეებმა დეპეშები გაუგზავნეს ვიეტნამის ეროვნული ფრონტის მუდმივ წარმომადგენლობას საბჭოთა კავშირში. (საქდესი).

მთელს საბჭოთა ხალხებთან ერთად მრისხანედ ისმის ხმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისა, რომლებიც სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ აგრესორებს ვიეტნამში ბინძური ომისათვის.

გამართულ მიტინგებზე ისინი გამოხატავენ სრულ სოლიდარობას ვიეტნამელი ხალხისადმი.

სურათზე: თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში ვიეტნამის ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგი.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

⊙ **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 18 ᲛᲐᲠᲢᲘ.** (საქდესი). **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ემზადება ფართოდ აღნიშნოს მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ იუბილეს დღესასწაულისათვის მზადების კულმინაციური კუნქტია ლენინგრადის მ. გორკის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრის გასტროლები.**

⊙ **პარიზი, 19 მარტი.** (საკდესი). **გასტილიის მოედნის მახლობლად ფრანსუა-მირონის გალერეაში გაიხსნა გამოფენა, რომელზეც ეძღვნირებულია პარიზის კომუნის დროინდელი გეგრი დაგეროტიპი, გრავიურა, ფიგნი, გაზეთი, სხვადასხვა დოკუმენტი. გამოფენა გაიხსნა პარიზის კომუნის 97 წლისთავთან დაკავშირებით.**

⊙ **ულან-ბატორი.** **მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობა ამუამად 268.800 კაცს შეადგენს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ულან-ბატორის მოსახლეობა 1,5-ზე მეტად გაიზარდა.**

დოლარმა ნდობა დაკარგა

ვაშინგტონი, 19 მარტი. (საკდესი). ამუქებს რა „ოქროს პულის" წევრი ქვეყნების აქაური თათბირის შედეგებს, ვაშინგტონის პრესა აღნიშნავს, რომ ოქროზე ფაქტიურად ორმაგი ფასის დაწესება ვერ გადაჭრის ამერიკის შეერთებული შტატების საგადამხდელო ბალანსის პრობლემას და ვაშინგტონს მხოლოდ დროებით მოათქმევინებს სულს იმ ფინანსური კრიზისისაგან, რომელშიც შეერთებული შტატები აღმოჩნდა.

ამერიკული დოლარის კრიზისი, წერს ჟურნალი **„იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი", გვიჩვენებს რომ „მსოფლიომ დაჰკარგა ნდობა შეერთებული შტატებისადმი, დოლარისადმი და არ სწამს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უნარი შესწევს რამდენადმე გონივრულად გაუძღვეს თავის საფინანსო საქმეებს".**

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ სიძნელეთა მთავარ მიზეზად ვაშინგტონის გაზეთებს მიიჩნიათ უწინარეს ყოვლისა ამერიკის მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა. **„პრობლემის ღერძია უზარმაზარი სახსრები, რომლებიც ხმარდება ვიეტნამის ომს და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოზიციების შენარჩუნებას მთელ დედამიწაზე", — აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი".**

ოქროს ციებ-ცხელება, რომელმაც უკანასკნელ რამდენიმე დღეში შესძრა მსოფლიო, განაგრძობს „ვაშინგტონ პოსტი", „იმის სიმპტომია, რომ სხვა ქვეყნებში არ სჯერათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებს მომავალში მოაწესრიგოს თავისი საქმეები".

საბჭოთა მეზღვაურები დაეხმარნენ

კოპენჰაგენი, 18 მარტი. (საკდესი). **საბჭოთა ხატვირთო თბომავლის „კომსომოლეც ტაჯიკისტანის" ეკიპაჟმა დღეს გადაარჩინა ესპანეთის გემის „პუერტო დე აიამონტეს" მეზღვაურები. ამ გემს უბედურება შეემთხვა შტორმის დროს ჩრდილოეთის ზღვაში. გემში წყალი შევიდა და ძლიერ გადაიხარა. „კომსომოლეც ტაჯიკისტანის" ეკიპაჟმა 20 ესპანელი მეზღვაური გადაიყვანა გემზე დანიის ესბერგის ნავსადგურიდან 100 საზღვაო მილზე.**

ᲜᲐᲪᲐᲚᲛᲘ — ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ

ვაშინგტონი, 19 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ა. მელქიანი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში უპრეცედენტო მასშტაბით იყენებს ნაპალმს, რომლის მსხვერპლი, როგორც წესი, მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობაა.

პენტაგონის მონაცემებისთანახმად, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა 1963 წლიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს დააყარეს 100.000 ტონაზე მეტი ნაპალმის ბომბები, ხოლო 1966 წელს ამერიკის ავიაციამ ჩამოყარა თითქმის 55.000 ტონა ნაპალმი. არმია და სამხედრო-საზღვაო ძალებიც იყენებენ ამ იარაღს, მაგრამ პენტაგონს არ ჯამოუქვეყნებია ცნობები ამ გვარეობის ჯარების თაობაზე.

აუქვეს რა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ამ ცნობის, ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის არმიამ ნაპალმი გაიხადა მასობრივი ხოცვის „ეფექტიან" იარაღად.

გეს ჰოლის განცხადება

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა თავისი კანდიდატი დასახელოს პრეზიდენტის პოსტზე ნოემბრის არჩევნებში.** უს კორესპონდენტებს განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა. პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო უკანასკნელ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, თქვა ჰოლმა.

პრეზიდენტის პოსტზე და სხვა პოსტებზე კანდიდატებს აირჩევს პარტიის ყრილობა, რომელიც ივლისში გაიმართება, დასძინა ჰოლმა. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია ითვალისწინებს, რომ საარჩევნო ბიულეტენებში კომუნისტური პარტიის კანდიდატების შეტანის პირობებს შესრულება იურიდიულად ძნელი იქნება და ამიტომ მოუწოდებს ამომრჩევლებს ბიულეტენებში ჩაწერონ კომუნისტთა კანდიდატების გვარები.

რატომ იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა?

მექსიკო, 19 მარტი. (საკდესი). **ექვსას ათასზე მეტი ბავშვი იხოცება ყოველწლიურად ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ხოლო გადარჩენილთა 37 პროცენტი ფიზიკურად არასრულფასოვანია ქრონიკული შიმშილობის გამო,** განაცხადა მექსიკის ბავშვთა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის კვების განყოფილების დირექტორმა დოქტორმა კასტრო გეკარამ.

როგორც გაზეთი „ნოვედადესი" იუწყება, კასტრო გეკარამ მოუწოდა განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი შიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ამახინჯებს და ღუპავს ახალგაზრდა თაობას.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲖᲐᲛᲑᲔᲖᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

დარ-ეს-სალამი, 18 მარტი. (საკდესი). **ხოლსბერიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, მდინარე ზამბეზის ველზე ბრძოლები გაჩაღეს აფრიკელმა პატრიოტებმა და როდეზიის შეიარაღებულმა ძალებმა.** როდეზიის შეიარაღებული ძალების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბრძოლებში ორივე მხარე დაზარალდა. სოლსბერიში გაუქმეს როდეზიელი სამხედრო მოსამსახურეების შვებულება, მდინარე ზამბეზის ხეობაში სასწრაფო წესით გაიგზავნა ახალი მაშველი ძალები. — პოლიციელები და სამხედრო ქვეგანაყოფები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ზიმბაბვეს აფრიკელთა კავშირმა მოუწოდა როდეზიის აფრიკულ მოსახლეობას შეიარაღდნენ სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „დადგა საყოველთაო გამოსვლის დღე".

ᲡᲐᲥᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

გორკის სახელოგნისა...



უცნაური საქმეა, კავკასიას თითქოს გედად ხვდა გამხლარიყო ჩვენი კოლეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად და გამომბრძანებად, მათ კოკეტურ სამფოლოდ, — ასე წერდა ბესარიონ ბელინსკი.

დიდი რუსი კრიტიკოსის ეს სიტყვები თანაბრად ვრცელდება რუსული მხატვრული ლიტერატურის იმ კორიფეებზე, რომლებიც თავიანთი ბიოგრაფიით უშუალოდ არიან დაკავშირებული საქართველოსთან.

მათ შორის არიან გრიბოედოვი და პუშკინი, ლერმონტოვი და ლევ ტოლსტოი, რომელთაც რამდენჯერმე ინახულეს „აზიის მცხუნვარე საზღვარი“ (პუშკინი), „სიმშვიერულის ქვეყანა“ (ლ. ტოლსტოი), გაეცნენ ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებას, მრავალსაუკუნოვან კულტურას, ისტორიულ წარსულს და ყოველივე ეს ასახეს თავიანთ შემოქმედებაში.

სახელოვან თანამემამულეთა ნაკვალევს ჩვენს სამშობლოში მოჰყვა აგრეთვე დიდი რუსი მწერალი, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი, რომელმაც შემდგომ, თავისი დიდებული წინაპრების მსგავსად, საქვეყნოდ განაცხადა: „სწორედ ამ ქვეყნის (საქართველოს — გ. მ.) დიადმა გუნებამ, მისი ხალხის რომანტიკულმა სირბილემ, სწორედ ამ ორმა ძალამ მოიცა ჩვ ბიძგი, რომელმაც შექმნა მოხეტიალესაგან ლიტერატორი“.

მაღალ-მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, მეოცნებე თვალებით და შთაგონებული სახით, — ასე წარსდგა პირველად ქართველი ინტელიგენციის წინაშე ჭაბუკი ალექსი პეშკოვი 1891 წელს.

თბილისში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე იგი უკავშირდება პროგრესულად განწყობილ ადამიანებს (ნიკო ხუდადოვი, ილია ჭავჭავაძე, ილია ალლაძე, სერგო რობაქიძე, ფ. ოფანასიევი, ა. კალიუნი, ვ. როხლინი და სხვები) და აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწევა ჩუღურეთის რევოლუციურ-კონსპირაციულ წრეში.

ამ პერიოდში მ. გორკი ცხოვრობდა ყოფილი კრასნოგორსკის უბნის კვირაცხოვლის ქუჩაზე.

აქ, ერთ-ერთი სახლის ნეხტიან სარდაფში, თაფლის სანთლის მცრთალ სინათლეზე იწერებოდა რევოლუციური იდეებით, ადამიანურობათვის ბედნიერების მოპოვების რწმენით შთაგონებული მისი ღიდებული პიესები — „ანთებული გული“ ანუ ლეგენდა დანკოს შესახებ, „ქალიშვილი და სიკვდილი“ და მრავალი სხვა, რომლებიც შემდეგ ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი კედლები მოწმეა რევოლუციური პათოსით გაჟღენთილი ლიტერატურული საღამოებისა, რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის მგზნებარე გამოსვლებისა... და კიდევ რამდენი რამ ახსოვს ძველი თბილისის ამ ჭუჩას ახალი ცხოვრების დაუცხრომელ შემოქმედზე.

ახლა კვირაცხოვლის ქუჩა დიდი მწერლის სახელს ატარებს. ბევრი რამ შეიცვალა ამ ქუჩაზე მას შემდეგ, რაც პირველად ფეხი შემოადგა მაშინ ჯერ სრულიად უცნობმა რუსმა ახალგაზრდამ, რომელსაც სახელოვანმა ქართველმა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა ლიტერატურის სარბიელზე კარგი სახელი უწინასწარმეტყველა.

ის ნეხტიანი სარდაფი კი, სადაც მგზნებარებით იწვოდა ხალხის ბედნიერების მოტრფიალე დაუდეგარი რომანტიკოსის სული, კვლავ უცვლელია, ქუჩის მცხოვრებლები ამაყობენ, რომ ამ სარდაფის ყოფილ ბინადარი ა. პეშკოვი 1892 წელს მაქსიმ გორკის სახელით დაბრუნდა მშობლიურ ნიჟნი ნოვგოროდში, დაბრუნდა როგორც მწერალი, რომელმაც ცხოვრებაში, ამ ყოფილ კრასნოგორსკის უბანსა და თბილისის რევოლუციურ გარემოში ნახულ ადამიანებს კეთილის მაუწყებელი მხატვრულ გმირებად შეახსა ხორცი.

უქმერიონის მთა, რომელსაც ცისა და მიწის ხიდად თავს ადგას ქართველთა ძველი დიდების საუნჯე — ბაგრატის ტაძარი, ერთ-ერთი დიდებული ადგილია ქალაქ ქუთაისის შემოგარენში. აქედან კარგად ჩანს ოქროს ჩარდახის ქალაქი ირმის რქებივით დატოტვილი ქუჩებით და მთელი მისი არტერიებით, მაღლაკის ველი, რეს პუბლიკის საავტომობილო მრეწველობის გიგანტით — ავტოქარხნით, რომელიც ინდუსტრიის მძლავრი ფილტვებით სუნთქავს. ამიტომ ყველაზე მეტად ეს ადგილი უყვართ ქუთაითურებს.

ამ სიყვარულის ნათელი დადასტურებაა, რომ ბაგრატის ტაძრის შემოგარენის ცალეული ქუჩები ქართველი ერის სახელოვანი შვილების სახელებს ატარებს.

და აი ვაუას, ა. ყაზბეგის სახელობის ქუჩების გვერდით ამ სამი ათეული წლის წინათ აღმოცენდა დიდი მწერლის — მაქსიმ გორკის სახელობის ქუჩაც. ამ დიდ მწერალს და ჰუმანისტს ქუთაითურებმა ეროვნული დიდების მთაზე თავიანთი სახელოვანი შვილების გვერდით მოუნახეს ადგილი.

ეს ქუჩა საბჭოთა ხელისუფლების წლებში იშვა და დავაყაცდა, გაშალა მხრები და გაიზარდა, აშენდა და დამშვენდა. ბევრი რამ აქვთ საამაყო მის მცხოვრებლებს. მათ სიამაყეს ორკეცებს ის გარემოებაც, რომ ამ მიდამოებში ოდესღაც ფეი დაუდგამს მისი სახელის უშუალო მემკვიდრეს მ. გორკის.

მ. გორკი 1903 წელს კვლავ ეწვია საქართველოს და ამჯერად ქუთაისსაც ესტუმრა. ქუთაისის საზოგადოებამ, მოწინავე, რევოლუციური ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობამ ადრევე გაიცნო იგი მისი ნაწარმოებების თარგმნებით, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში. ამიტომ დიდი აღფრთოვანებით შეეგება საპატიო სტუმარს. მას ორჯერ მოუწყეს შეხვედრა, პირველად ცნობილი პედაგოგის იასონ ნიკოლაიშვილის ოჯახში და შემდეგ სახელგანთქმული ექიმის სამსონ თოფურიას კერძო საავადმყოფოს ბაღში. მწერალი ინტერესით ეცნობოდა ქუთაისის ღირსშესანიშნაობებს, იმოგზაურა გელათში, მოწამეთაში, უადრესად კმაყოფილი დარჩა წარსულის ამ დიდებული და კულტურული არქიტექტურული ძეგლების გაცნობით და ბოლოს ეწვია უქმერიონს. იგი დიდხანს იდგა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, გადასცქეროდა აქაფებულ რიონს, მწვანეში ჩაფლული ქალაქის ხედებს, და აღფრთოვანების ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს.

ცხადია, მ. გორკის გონებაში ნათლად იყო გამოკვეთილი ჩვენი ქალაქის მომავლის ნათელი ბედი, მაგრამ მაშინ ჯერ ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი დიდი სიყვარულის ფასად ხალხი ამ ადგილებს მის სახელსაც უწოდებდა.

მაქსიმ გორკის ნაგებობები აქ ყამთა სწლამ მოშალა, მაგრამ მის ნაკვალევს უქმერიონის უმაღლეს მწვერვალამდე აღმართული გორკის ქუჩის სახით სათუთად ინახავენ გულში ქუთაითურები.

მაქსიმ გორკის სახელი ამკობს აგრეთვე ძველი კოლხიდის ულამაზესი ქალაქის — ფოთის ერთ-ერთ ქუჩასაც.

ეს ქუჩა ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟით განახლებული ფოთის ძვირფასი მემატიანეა, როგორც ქალაქის ახალ უბანს, ყველაზე მეტად მას დაეტყო ახალი ცხოვრების ძალა, და ამიტომაც უწოდეს ახალი ცხოვრების მეხოტბის მაქსიმ გორკის სახელი.

თითქოს სიმბოლურია — აქ აღმართულია ქართული და რუსული საშუალო სკოლების ლამაზი შენობები. საცხოვრებელი სახლის სახურავებზე მკაფიოდ იკვეთება ტელევიზორის ანტენები. ჩაივლით ქუჩას, და თვალს ახარებს მცხოვრებთა გაცისკროვნებული სახეები, რისთვისაც ესოდენ იღვწოდა დიდი მწერალი.

შეუძლებელია აქარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ლამაზ დედაქალაქზე, მის ზრდა-განვითარებასა და წინსვლაზე ილაპარაკო და არ ახსენო მაქსიმ გორკის სახელობის ქუჩა. სწორედ მან, ერთმა პირველმა შეიცვალა ძველი იერი და ზღვისპირეთის ამ დიდებული ქალაქის დღევანდელობის ნამდვილი მშვენება გახდა.

გორკის ქუჩა ტონს აძლევს ქალაქის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. აქ თავმოყრილია მსხვილი სამრეწველო საწარმოები, კულტურული ცენტრები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

იგი ერთ-ერთი ძველი და გრძელი ქუჩაა თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობებით, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინებით, კეთილმოწყობილი მაღაზიებით, საზოგადოებრივი კვების ობიექტებით. ქუჩის ბოლოს ახლახან აშენდა და უკვე ხელქსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფაკულტეტის კორპუსები. მალე აქვე აშენდება ბავშვთა სპორტული და წყალჯომარდობის ნაგებობების კომპლექსი. ამჟამად მიმდინარეობს ქუჩის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

გორკის სახელთან, ისევე როგორც სხვაგან, ჩვენს რესპუბლიკაშიც ბევრი რამ არის დაკავშირებული. მისი სახელი აქვს მიკუთვნებული ათობით საბავშვო ბაღსა თუ სანატორიუმს, საკვლევ დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. დიდი ხანია, რაც ჩვენში ტრადიციულად დამკვიდრდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყოველი სიახლე დიდი პროლეტარი მწერლის სახელის მიკუთვნებითაც აღინიშნოს. საამისო მაგალითები უამრავია.

საქართველო, რომლის ცის ქვეშ აინთო ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი დანკოს გული, პირველად დაირხა მძლავრი პიესი მუშრომელთა თავისუფლებაზე, მაქსიმ გორკის მიერ მეორე სამშობლოდ აღიარებული, სათუთად ინახავს დიდი კუმანისტი მწერლის ხსოვნას, ძალასა და ენერგიას არ იშურებს მისი სახელის ღირსებისათვის.

გივი მეფიზაშვილი,

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — მემორიალური დაფა თბილისში იმ სახლზე, სადაც 1892 წელს ცხოვრობდა მ. გორკი; გორკის ქუჩა თბილისში; გორკის ქუჩა ბათუმში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა. და გ. ბაბაიანისა.

სიცოცხლე, მარადისობაში გარდასული

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„არ დაიდარდო დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე“...
გ. ლეონიძე.

ეინმუსვლელთა უსახელო საფლავები... რამდენია ისინი დედამიწაზე. დუმან. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. ჯარისკაცის გათოშილ ხელებს საველი ბარით გაუჭრია საფლავი. ნოტიო ლობადაში გაუხვევია იმ დილით ბრძოლაში დაღუპული მეგობარი. იქნებ იქვე ქვაც კერ იპოვნა, ნიშანსვეტი რომ დაედო... ადგილი კი დაიმახსოვრა. ყუმბარებით რტოებდამსხვრეულ არყის ხის ძირში. მერე ისიც დაიღუპა — მერე დღეს ან იქნებ ერთი წლის შემდეგ. თეთრი არყებიც დაიღუნენ, როგორც ის ჯარისკაცები, და უსახელო საფლავი სამუდამოდ დადუმდა.

შინ კი მათ დღესაც ელიან.

უკრაინაში არის ერთი სოფელი ბონდუროვკა, სადაც დასაბამიდან იდგა თეთრი სახლები მაღალი ბუხრებით. გაზაფხულზე ყანაზეის მოფრენას დაასწრებდნენ კლიბები და მინდორში მიდიოდნენ სამუშაოდ. ხნულში თესლი ღივდებოდა და მწვანე ჯიჯილად იქცეოდა. სკოლაში მიმავალ ბავშვებს მესერის ბუჟრუტანიდან უყურებდნენ მზესერმზრები.

ყანებში მწყრები ბუდობდნენ და მანამდე არ გაფრინდებოდნენ, სანამ მკა არ დაიწყებოდა, მაგრამ იმ წელი-წადს ბარტყებს კამოჩეკვა ვერ მოასწრეს... მაშინ 1941 წელი იყო. იან ფაბრიციუსის სახელობის დივიზიის მებრძოლებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ციხე-სიმაგრედ აქციეს ბონდუროვკა.

რა სიჩუმეა,—გაიფიქრა ეგნატე ტალიაშვილმა და სახე ტყვიამფრქვევის დისკოს დაყარდნო, ერთი საათის წინ ტანკების შემოტევა მოიგერიეს, ძალიან დაიქანცა. ეძინებოდა. რკინის მუზარადი მოიხადა და იატაკზე დაადო. მერე წვიმა წამოვიდა.

— მალე ისევ დაიწყება. — გაიფიქრა. საკლასო ოთახებში ჩასაფრებული ბიჭები სამზერს არ სცილდებოდნენ. ჯარისკაცს არ უნდოდა ჯარისკენ მიეხედა. იქ, მინის ნამსხვრევების გროვაში, აყირავებული მერხების გვერდით იწვა ერთი საათის წინ მოკლული ჯარისკაცი.

მესერჩამორღვეულ ეზოში ფურგონი გამოჩნდა. ცხენი ფრუტუნებდა და ტარებს მიწაზე სცემდა. გლეხს, რომელსაც გრძელი თეთრი წვერი და დაგოგრებული ხელები ჰქონდა, სადავით ძლივს აკავებდა ულაყს.

— აი შე სამგლე, ვერ იქნა და ვერ შეეგვია სროლას, — ჩაიბურტყუნა და კიბის საფეხურებს ამოუყვა.

— გამარჯობათ.

ქუდი მოიხადა. მერხის კიდეზე ჩამოჯდა და მერე კარებში შდგარ გოგონას მიუბრუნდა:

— აბა, ოქსანა, დაჭრილებს მიხედე, — ჩემი შვილიშვილია. — მერე დაუმატა: — დალხვროს ემპატა, ეს წყეულები მთელი დღე უშენენ. კაცი გარეთ ცხვრის ვერ გამოაყოფს. უნდა ვიჩქაროთ, დაჭრილების გაყვანა იქნებ მაინც მოვასწროთ.

...ოთის წამმზომი გულივით ფეთქავს და წუთებს ითვლის.

გოგო ლამაზია და ასხლეტილი, მაღალი წვიფები აქვს. მერე როგორ უყურებს ეგნატეს. ეს ტალი ომი რომ არა, იქნებ კახეთშიც წამოჰაყოლოდა... თავსაფრის ყურით უხვევს ჭრილობას.

— გტკივა? — ეკითხება.

— არა... ეს რა ტკბილი ხელი გქონია, შენი ჭირიმე. ტკბილი გამაყუჩე. გოგო, — იცინის ეგნატე ტალიაშვილი. პატარა ხელი ჩიტივით ფარფოლავს ჯარისკაცის გეგეზერთელი პეშში. დაჭრილები ფურგონზე მოათავსეს.

— გამაგრდით, ბიჭებო, იქნებ გორკანოგიდან მაშველი ძალა მოვიდეს... ეჰ... ღმერთი იყოს თქვენი შეშენ, — მოხუცმა შოლტი გადაუბერა ცხენს. გოგოც წაედა, მერე რამდენი სითბო დაუტოვა ეგნატეს, საუკუნე რომ იცოცხლოს, ეყოფა. ...ელოდნენ შემოტევას. სარკმლიდან მხოლოდ ჭუჭყანა ცის ნაჭერი და ძველი სამრეკლო ჩანდა. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. სოფლის გადაღმა ჰაერში მაშხალა ავარდა. ერთხანს მაღლა მიიწევდა, მერე დაეჭიდოდა და სინდიციერით დაიბნა ჰაერში. მაშხალის შუქზე წუთით წაბლის ტოტები და სახლის ნანგრევები გამოიკვეთა. ახლა რტოები სველი და შავი იყო, წვიმანდელივით ალარ ჩანდა კრიალა ფოთლები. ქუჩის მოსახვევში სოფლის მაღაზიის ჩამსხვრეულ ვიტრინასთან ჯერ კიდევ იწვოდა ტანკები. თაბაშირის მანეკენები ციცა თვალებით შეჰყურებდნენ ცას.

უეცრად ბურის ყანებიდან ტანკები გამოჩნდნენ და სროლით უახლოვდებოდნენ სოფელს.

— ერთი, ორი, სამი — ითვლიდნენ ბიჭები. რკინის მანქანებმა ქუჩა გადმოსჭრეს, სანგარში ჩასაფრებულმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს. ერთიმორეს მიყოლებით იწვდებოდა ხეები და ბაშიშვლებული ფესვები ვედრებით გამოწვდილ ხელებს ჰგავდა.

— ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა ესროლე, — ყვიროდა მეტყვიამფრქვეველი.

სანგრებში ჩასაფრებულმა მებრძოლებმა ბონდუროვკის დასაღვეთით გადაუკეტეს გზა ფაშისტებს. მღვრიე ნიაღვრები მოდიოდა მიწყაფილზე. ტყვიებით დაფლეთილი დივიზიის დროშა სკოლის შენობაში ხოხვით მოიტანა მძიმედ დაჭრილმა მესანგრემ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სანგრებში იმის გარდა აღარავინ დარჩა ცოცხალი. მხოლოდ რამდენიმე ჯერმანელმა მეავტომატემ შეძლო ჯაქეკვა. რიგა სროლა მიწყდა, ფეხზე წამოიმართა ულვაშა სერჟანტი.

— ყველანი ჩემთან!.. — ერთმანეთს გადასძახდეს. რა ცოტანი დარჩენილან, ათი ჯარისკაცი. კიდევ ცოტა ხანს გაძლვნენ.

— კუდით ქვა ვასროლინეთ, — გაიცინა სერჟანტმა.

— ამხანაგო სერჟანტო, ვაზნები ალარ არის, — ყრუდ თქვა ვიღაცამ.

— აღარც ერთი ვაზნა?.. ეშმაკსაც წაეყოლა. სანგრებში უნდა ჩავსაფრდეთ, ხელჩართული ბრძოლის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.

ერთმანეთს შეხედეს. იან ფაბრიციუსის სახელობის დივიზიის ჯარისკაცები მაშინ, იმ საბედისწერო საღამოს, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს გამძლეობით, თავგანწირვით... მერე უხმოდ დაიხურეს მუზარადები და სანგრებისაკენ გაეხიდნენ. დივიზიის დაფლეთილი დროშა ჯარისკაცმა აიტაცა ხელში. მის გვერდით სერჟანტი მოაბიჯებდა. მერე სხვები მიჰყვნენ.

— ეჰეი, ეგნატე ტალიაშვილო!... გახსოვს იქ ალაზნის პირას ჩვენებური სარმით რამდენი ფალავანი დაგიჩოქებია. ახლა დრო დადგა.... ამ ქვრა ჯილაგს შეაკაური გამოდგ, ბიჭო.

პურის ყანებიდან გერმანელები გამოჩდნენ. მწყობრად მოდიოდნენ, როგორც ალლუმუ. ფსიქიური იერიში დაიწყო. მერე ხიშტი ხიშტს შეაჯახა და ფოლადმა გაიწკრიალა. ჰაერში გაფართხალდა კონდახს ჩაფრენილი ხელები. შენ ყველაზე მაღალი იყავი, შრომგანიერი და დაშნასავით მოხდენილად ხმარობდი იარაღს. ბევრიც განგმარე. მაშინ ვინ დაითვლიდა. აგერ მედროშემ წაიბორძიკა და ფეხლის ბუბეში პირაღმა დაეცა. ალამი აიტაცე, და ერთხანს მუზარადის თავზე ბაგრატიონი ტაძარ ჯვარ-ბოლოებ-ბოლოებ-ბოლოებ

ნაირ-ნაირი

ეძღვნება დიად თარიღს

ორჯონიკიძე. (საქდესი). სარაიონო ბიბლიოთეკაში დიდი გამოცოცხლებაა — ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსტენდები. სისტემატურად ეწყობა საუბრები, ლექციათ-მოხსენებები, მკითხველთა კონფერენციები, თემატური საღამოები.

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თემატური საღამოები გაიმართა ვახანის და ლაშის ბიბლიოთეკებში, მოეწყო მკითხველთა კონფერენცია მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში.

„სალხინო“ — სალხინოდ

ზაიაკოვსკი. (საქ. კორ.). დიდი მოწონებით სარგებლობს ქართული ღვინო „სალხინო“, რომელსაც საერთაშორისო გამოფენებზე ხუთჯერ მიეკუთვნა ოქროს დიდი მედალი. საქველყნოდ ცნობილია აგრეთვე ჯობიაკი „ვარციხე“.

ვარციხის ღვინის ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის განვლილ ორ თვეში ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში გუგლის გადაჭარბებით გაგზავნა 600 დეკალიტრი „სალხინო“ და 2.000 დეკალიტრი „პორტვეინი“.

გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ყურძნის წვნის გამოშვების, სპონიაკი სპირტის გამოხდისა და დამზადების დავალებები.

ოცი მილიონი...

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის შრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ტროლეიბუსი. ახლა ამ ყველაზე იაფ და ხელსაყრელ ტრანსპორტს 6 სხვადასხვა მარშრუტით გადაყავს მგზავრები. გაიხსნა 18,5 კილომეტრი წრიული სიგრძის ახალი დიდი მარშრუტი, რომელიც ჭავჭავაძის პროსპექტის გავლით საავტომობილო ქარხანას რკინიგზის სადგურ „ქუთაისს პირველთან“ დაკავშირებს.

გასულ წელს ქუთაისის ტროლეიბუსებით გადაყვანილ იქნა 20 მილიონი მგზავრი, ხოლო მიმდინარე წლის ორ თვეში 3 მილიონზე მეტი.

საჩუქრად ნორჩებს

თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში აშენდა სიბავშვო ბაგა-ბაღის ტიპობრივი შენობა. ბაგა-ბაღის შენობა საკუთარი სახსრებით აგო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (საქდესი).

გუნდება ჩვენს ირგვლივ

მ. გორკის ხელწერა... კუს ჯავშანზე

სამხრეთის თბილ ზღვებში ბევრი გიგანტური კუ ცხოვრობს. სანაპირო რაიონების მცხოვრებნი ხშირად იპერენ მათ, ჯავშანზე უკეთებენ სხვადასხვა წარწერებს და ისევ ზღვაში უშვებენ.

1937 წელს პალერმოს (იტალია) გარეუბნის მცხოვრებლებმა ზღვაში დაიჭირეს 38-კილოგრამიანი კუ. მის ჯავშანზე იყო წარწერა უცნობ ენაზე. წარწერა ვერ ამოიკითხა სოფლის მასწავლებელმაც კი, რომელსაც ის წასაკითხავად მიუტანეს. მასწავლებელმა მეთევზეებს ურჩია გადაეგზავნათ კუ რომში, მეცნიერებათა აკადემიაში. დედაქალაქიდან მალე მოვიდა პასუხი. როგორც გაჭოირკვა, წარწერა რუსულ ენაზე იყო და შემდეგს ნიშნავდა: „მე გავათავისუფალე ჩემი კუ „ტოტო“ 1922 წლის 1 აპრილს. მისი წონაა 52 კილოგრამი, სიგრძე შეადგენს 90 სანტიმეტრს. ტოტოს ძალიან უყვარს სარდელი. მაქსიმ გორკი. კაპრი“.

შაშვი ბალტიისპირეთიდან

ბოლნისელ მა მოსწავლემ ავთანდილ ჩაგელიშვილმა ამას წინათ მოკლა შაშვი, რომელიც ფეხზე აღმოაჩნდა რგოლი წარწერით — ‡ 225623. ავთანდილმა ამის შესახებ აცნობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტთან. არსებულ ფრინველთა და ცხოველთა დარგოლვის მოსკოვის ცენტრს. საიდანაც მალე პასუხიც მიიღო.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი მ. ლებედევა ეტყობინება, რომ ავთანდილის მოკლული ფრინველი 1965 წლის 21 ოქტომბერს გაუშვიათ კალინინგრადის ოლქის ზღვისპირეთის მებადურთა ერთ-ერთი დასახლებიდან. ჭ. ლებედევა დიდ მადლობას უთვლის ბოლნისელ მოსწავლეს მოკლული ფრინველის რგოლის ნომრისა და მისი მოკვლის ადგილის შეტყობინების გამო.

ინსტიტუტი მეცნიერული კვლევის მიზნით აწარმოებს ფრინველთა დარგოლვას, რათა განსაზღვრონ ფრინველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მოგზაურობის მიმართულება, განვლილი მანძილის სიმორე და ა. შ. წერილში მ. ლებედევა აყალო : მოსწავლეს სთხოვს დარგოლილი ფრინველის თუ ცხოველის მოკვლის ან დაჭერის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულ ინსტიტუტს.

ს. რეხვიაშვილი,

სტუდენტებმა გვასახელეს

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტ მოცეკვავეთა ანსამბლი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს თვითმოქმედ კოლექტივებს შორის, მის შესახებ იციან უცხოეთშიც. მარტო გასულ წელს ანსამბლი სამჯერ წარსდგა საკავშირო ტელევიზიით საბჭოთა მაყურებლის წინაშე, ერთხელ კი მათი კონცერტი ინტერვიზიის პროგრამითაც გადასცეს. ამიტომაც იყო, რომ, როცა ბელგიის ტელევიზიამ საქართველოს ცხოვრების შესახებ ფერადი ფილმის გადაღება გადაწყვიტა არჩევანი ამ ინსტიტუტის მოცეკვავეთა ანსამბლზეც შეჩერდა. სცენარის მიხედვით ფილმი იხსნება ქართული ცეკვით, რომელიც სრულდება ღია ცის ქვეშ, უძველესი ისტორიული ძეგლების ფონზე. და ეი ფილმში ქართულ ცეკვას სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები ასრულებენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ფესტივალზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ეს წარმატებები დაედო საფუძვლად სტუდენტების საპატიო მისიას — მოსკოველ კოლეგებთან ერთად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაყურებლისათვის წარედგინათ საბჭოთა მხატვრული თვითმოქმედება. ამასთან საბჭოთა თვითმოქმედი კოლექტივი პირველად გამოდიოდა დასავლეთ გერმანიაში.

სსრ კავშირის პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი 25 კაცის შემადგენლობით. ორი კვირის განმავლობაში გამოდიოდა დასავლეთ გერმანიის სცენებზე. მათ შორის იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ — ინსტიტუტის სტატისტიკოსი ლამარა უთმელიძე, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტები — ალექსი ნიკოლაძე და ელბერდ გრძელიშვილი, მეცხრეშუმეობის ფაკულტეტის სტუდენტები ლერი თავაძე და ნოდარ ჯანიაშვილი, ავრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი დიმიტრი ხიზამბარელი და სტუდენტთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოშაკი ბესარიონ სვანიძე. მათ მონაწილეობა მიიღეს კელნში, შტუტგარტში, ნიდერსფელდში, ფოლფსბურნში, დორტმუნდში, მაინის ფრანკფურტსა და სხვა ქალაქებში გამართულ კონცერტებში. ყველგან დიდი მოწონებით ხვდა საბჭოთა მხატვრულ თვითმოქმედებას, ხოლო რაც შეეხება ქართველ სტუდენტთა ცეკვას, მასზე შეიძლება ვიმსჯელოთ მარტო იმ ფაქტითაც, რომ ცეკვა „ფარიკაობა“ ორჯერ გადასცეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალური ტელევიზიის I პროგრამით. სტუდენტთა გამოსვლებს გამოეხმაურა პრესაც.

ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლი ახლა ემზადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო IX ფესტივალისათვის.

ვ. კასრაძე,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მრავალტირაჟიან გაზეთ „საბჭოთა აგრონომის“ რედაქტორი.

• • •

სურათზე: ცეკვავს ლამარა უთმელიძე.
(სურათი ამოღებულია გერმანულ გაზეთ „ჰაიმატნახრიხტენიდან“).

ლ. გაგაშელი

ბარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი, ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, სკკპ წევრი 1939 წლიდან ლიზა ბესარიონის ასული ბაგაშელი.

ლ. გაგაშელი დაბადა 1912 წელს ონის რაიონის სოფელ ღებში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1926 წლიდან. 1940 წელს დამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ - საფეტერინარო რ ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ხულოს რაიმიწყანში, უფროს ზოოტექნიკოსად. 1941 წლიდან 1944 წლამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აჭარის სალქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილედ, 1944-1950 წლებში „აჭარცხოველმზადეგის“ მმართველად, 1950-1958 წლებში აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1958 წელს ლ. გაგაშელი ინიშნება ბათუმის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის დირექტორად, ხოლო 1960 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად.

პარტიისა და ხალხის წინაშე დამსახურებისათვის ლ. გაგაშელი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და მედლებით.

ენერგიული, შრომისმოყვარე და გულისხმიერი ადამიანის ლ. გაგაშელის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რევანში ეედგა, მაგრამ...

თასის მფლობელთა თასზე გუნდიდელი მეორე. მეოთხედფინალური მატჩი ტაშკენტში უელსის „კარდიფ სიტისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იდგა.

კარდიფში დამარცხების (0:1) შემდეგ ტორპედოელთა ამოცანას წარმოადგენდა რევანშის აღება. და ისიც სულ მცირე ორი ბურთის სხვაობით, „კარდიფ სიტის“ კი ფრეც ხელს უწყობდა ნახევარფინალში გასასვლელად. ამიტომ ტორპედოელებს უნდა გაეძლიერებინათ თავდასხმის ხაზი, უელსელებს — დაცვის ხაზი.

ასეც მოხდა. თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ტორპედოელები არ მოშორდებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს — ისინი უტევდნენ ფლანგებიდან, ცენტრიდან, მაგრამ საგოლე მომენტები იკარგებოდა.

მიმდინარეობდა 32-ე წუთი. იერიშს იერიში მოსდევდა. და აი ერთ-ერთი კომბინაცია ბელუსკოვიჩმა გოლით დაგვირგვინა. ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა პირველ ტაიმში.

მოსალოდნელი იყო, რომ „კარდიფ სიტის“ კარი მაინც აღებული იქნებოდა მეორე ნახევარში და ტორპედოელები ნახევარფინალში გასვლას იზეიმებდნენ, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. ტორპედოელებს დაღლილობა დაუტყოთ და შემტევი სტილით ვერ მოქმედებდნენ, სტუმრები კი გააქტიურდნენ და იყო მომენტები, როდესაც „ტორპედოს“ კარი რეალურ საფრთხეს გადაურჩა.

ერთი გოლი ძალაში დარჩა, „ტორპედომ“ რევანში აიღო, მაგრამ ეს გოლი საკმარისი არ აღმოჩნდა ნახევარფინალში გასასვლელად.

ახლა მოეწყობა ამ გუნდების მესამე მატჩი ნეიტრალურ მოედანზე.

ლიდერი დამარცხდა

ბელგრადი, 19 მარტი. (საქდესი). აქ მიმდინარეობს საერთაშორისო ქალთა ტურნირი ჰადრაკში, რომელშიც პირველი დამარცხება ქალმა ლიდერმა — იუგოსლავიის მოუდრაკემ მარკოვიჩმა. მან წააგო ახალგაზრდასთან (ბულგარეთი). მსოფლიო ჩემპიონის გაფრინდაშვილისა და იუგოსლავი ივანკოვიჩის, ავრეთვე კუშნირისა და იუგოსლავი სოკოლოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა. რუმინელმა ნიკოლაუმ დაამარცხა ჰოლანდიელი ბეიმსკერკი. წინათ გადადებულ პარტიაში კუშნირმა დაამარცხა იუგოსლავი ივკოვიჩი.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასეთია: მარკოვიჩი — 6 ქულა, გაფრინდაშვილი — 5,5 ქულა, ნიკოლაუ — 5 ქულა, კუშნირი — 4,5 ქულა.

ბრაზილიის ტურნეს წინ

მსოფლიოს ჩემპიონმა — სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე ურუგვაიში. უკანასკნელი მატჩი ჩვენს კალათბურთელებს ჰქონდათ ამ ქვეყნის ნაკრებთან, რომელიც გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გაახალგაზრდავებულია.

მატჩი ტემპიანი და მიმზიდველი გამოდგა. მართალია, მასპინძლები გარკვეული დროის მონაკვეთში წინ იყვნენ, მაგრამ პირველი ტაიმი მათ მაინც წააგეს 23:29. მეორე ნახევარში საბჭოთა კალათბურთელები მოქმედებდნენ უფრო ორგანიზებულად, ინიციატივიანად და გიმარჯვეს კიდეაც — 63:55. ყველაზე მეტი ქულა (16) ჩვენს ნაკრებს მოუტანა პოლეგოვდამ.

სსრ კავშირის ნაკრება ტურნესათვის ბრაზილიაში მიემგზავრება.

წაგება კიევში

თბილისის „ბურევესტნიკი“ მორიგი მატჩისათვის კიევს ეწვია და აქ 18 მარტს მაუჭრობა ჭქონდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან — ადგილობრივ არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. გიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 78:65 და ლიდერს — ლენინგრადის „სპარტაკს“ დაეწიენ.

თბილისის დინამოელები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრნენ, სადაც გამართავენ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას.



ბრაკონიერს წაასწრეს

მცველი... თუ მკვლელი

ბადირეო მეურნეობის ცალკე სამმართველო. ამ დროიდან მოკიდებული მარიამჯვრის ნაკრძალში ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა ძვირფასი ფაუნისა და ფლორის დასაცავად. წინათ აქ მხოლოდ ერთი ტყეს-მცველი იყო, ამჟამად კი ორია. ყორულის მეურნეობის მეტყევე-ინჟინერები მუდმივ საცხოვრებლად მარიამჯვარში გადავიყვანეთ. ამ დღეებში დაიწყება ნაკრძალის შელობვა და სხვ.

კვლავ დამუდამოდ მარიამჯვრის ნაკრძალი, შეწყდა ქურდული ჭრა, სოფლის ნადირი ძოვება, მდიდრდება ტყე, მომრავლება იწყო სასარგებლო ნადირ-ფრინველმა. ამ ზამთარს მოსულმა თოვლმა დაგვანახვა, რომ ნაკრძალში არცთუ ცოტაა ირემი, შველი, კურდღელი. ბუნების მოსაყვარულე ადამიანებს გვახარებს ეს გარემოება. მაგრამ ჯერან ისეთებიც, რომლებსაც ჯერაფრად არ უღირთ ჩვენი ეროვნული საუნჯე.

ერთი ასეთი უსინდისო ადამიანი აღმოჩნდა ჩვენი ტყის მცველი ზ. მეკოკიშვილი. სწორედ იმ დროს, როცა რადიოგადაცემის დიქტორი ხოტბას ასხამდა ზურია მეკოკიშვილს, როგორც მარიამჯვრის ნაკრძალის კარგ მცველს, ფლორისა და ფაუნის სამაგალითო მომვლელს, მის ოჯახში ირმის ხორცი იხარშებოდა, დამარილებული ირმის ხორციც კი ამოიღეს კასრიდან მილიციის მუშაკებმა. ამ დღეს მეკოკიშვილის სიმამრის ოჯახშიც მოიხარშა ირმის ხორცი.

როგორც ჩანს, მცველის სახელს შეფარებული მეკოკიშვილი ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას და სისტემატურად ეწეოდა ბრაკონიერობას — ხოცავდა ირემს, შველს. ბოლოს გაუგეს და მილიციის ორგანოებმა დანაშაულზე წაასწრეს.

მალე იგი სასამართლოს წინაშე წარსდგება, მის გვერდით ვიხილავთ მისსავე დამქაშებს, გაიძვერებს და ულირს ადამიანებს.

ირემმა, შველმა და ფაუნის სხვა ძვირფასმა წარმომადგენლებმა თავისუფლად უნდა ინავარდონ ჩვენს მდიდარ და წარმტაც იალაღებზე, ტყეებში, ნაკრძალსა და არანაკრძალში.

ირმის ხელმყოფელი ბუნების მტერია და სასტიკად უნდა დაისაჯოს.

ვ. გუჟილიშვილი,
ყორულის სატყეო-სამონადირეო მეურნეობის დირექტორი.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს საშტატო თანამდებობების დაკავებაზე

1. **მექანიზაციის განყოფილების გამგის** — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1 საშტატო ერთეული; მუშაობის ადგილი ანასეული, მახარაძის რაიონი.
2. **სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და სტანდარტიზაციის განყოფილების გამგის** — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1 საშტატო ერთეული; მუშაობის ადგილი ანასეული, მახარაძის რაიონი.
3. **იზოტოპების ლაბორატორიის გამგის** — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, აგრეთვე **მაღალკვალიფიციური სპეციალისტი უხარისხოდ** — 1 საშტატო ერთეული; მუშაობის ადგილი ანასეული, მახარაძის რაიონი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთ განცხადება შეაქვთ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი და ავტობიოგრაფია; ბ) უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხის დოკუმენტების პირები, გ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, დ) მეცნიერული შრომების და გამოგონებების სია.

განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

განცხადება იგზავნება მისამართით: ქ. მახარაძე, ანასეული, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში და კლინიკურ ორდინატურაში მისაღებ კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე.

ასპირანტურაში: ენდოკრინოლოგია — 1, ნერვული სნეულება — 1 და ქირურგია — 1.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ სპეციალობაში მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი.

კლინიკურ ორდინატურაში: ქირურგია — 1, ნერვული სნეულება — 1, ანესთეზიოლოგია 1, პედიატრია 1, მეან-გინეკოლოგია — 1.

კლინიკურ ორდინატურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ სულ მცირე 3 წლის საექიმო სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები 2 ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ავტობიოგრაფია, რეფერატი ან გამოკვეყნებული შრომა არსებულ სპეციალობაზე.

განცხადებების მიღება იწარმოებს 1968 წლის 15 ივნისამდე

მისამართით: ქ. თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 18, მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი. **ცნობები ტელეფონით:** 3-58-94, ასპირანტურა.

სსრკ მართვის სისტემის, ავტომატიზაციის საშუალებათა და ხელსაწყოთა მშენებლობის სამინისტრო

ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს ასპირანტურაში მიღებაზე შემდეგი სპეციალობების მიხედვით.

1. **გამოთვლითი ტექნიკა** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ);
2. **ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ);
3. **გამოთვლითი მათემატიკა** (წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ);
4. **საკონტროლო-გაზომვის ტექნიკა** (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ).

განცხადებები მიიღება 1968 წლის 25 აპრილამდე.

მიხაღები გამოცდები დაიწყება 1968 წლის 27 მაისიდან.

ცნობებისათვის მიმართეთ: ტელეფონი 95-57-01, დამატ. 5-32.

მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 37.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

20 მარტი

12.00 — რუმინული მხატვრული ფილმი „თეთრი პროცესი“, 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ლექცია პოლიტიკური ეკონომიის „შემსწავლელთათვის“, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის „წიგნის სახლი“, 19.20 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „მეჭიბარების ინიციატორებთან“, 19.40 — გადაცემა „ბავშვული გზა“ — მწერალ მარიამ გარიყულის დაბადების 85 წლისთავის გამო, 20.30 — იუგოსლავური მხატვრული ფილმი „ავანტიურისტის კარიერა“, 21.55 — ახალი ამბები, 22.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — „უკრავს ანი ფიშერი“.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

21 მარტი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — გადაცემა ბავშვებისათვის: „საბავშვო თეატრების ფესტივალზე“, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა „ცეკვავს ლილიანა მითაიშვილი“, (21 თებერვლის გადაცემის გამეორება), 20.05 — „ახალი ეკრანი“, 20.20 — გადაცემა „ქუთაისელ ფეიქრებთან“, 20.40 — კინონარკვევი, 21.05 — „რა შემოვიტანეთ ქართულმა დოკუმენტურმა კინომატიანემ“, 21.35 — კინონარკვევი, 21.55 — ახალი ამბები, 22.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.20 — რუმინული მხატვრული ფილმი „თეთრი პროცესი“.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 18 საათიდან.

თეატრები

20 მარტი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — პიკის ქალი (I აბონ. I წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ნინო, **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული** — მოჯადოებული მწვერვალი (აბონ. № 18, შე-2 წარმოდგენა), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, დირიჟორი თეოდორ კოსტინი (რუმინეთი), სოლისტი ა. ნიკერაძე, **თოჯინების ქართული** (ვაჟრობის კულტურის სახლში) — ნანა ტყეში (დასაწყისი დღის 10, 12 და 2 ს.).

კინო

20 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, საქართველო (მუშანე დარბაზი), ისანი, გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, კოლხიდა, სპარტაკი, ბათუმი — ოპერაცია „წმიდა ანუარიუსი“, ოქტომბერი — ანა კარენინა (I, II სერია), ოქტომბერი (10 ს.) — ბებერი მოგზაური, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — ღვთის რისხვა, 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი, 11, 3 ს.) — ორი კაპიტანი, 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი, 1, 5, 7, 9 ს.) ექიმი ვერა, 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — ღალატი, კომკავშირელი (10, 12, 2 ს.) — განწირულთა ბუნაგში.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.